

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

ქუთაისის უნივერსიტეტი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი
ეკონომიკის დეპარტამენტი



ს ა მ ა გ ი ს ტ რ ო პ რ ო გ რ ა მ ა

საფინანსო, საბანკო და სადაზღვევო საქმე

პროგრამის ხელმძღვანელი: ასოც. პროფ. ეკატერინა ბაბუნაშვილი

ქუთაისი 2011

სწავლების საფეხური

მაგისტრატურა

სწავლების ენა

ქართული

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში

პროგრამის მოცულობა კრედიტებით:

კრედიტი ასახავს სამუშაოს იმ რაოდენობას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის ამა თუ იმ კომპონენტის დასასრულებლად და სწავლის შედეგების მისაღწევად. კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის #3 ბრძანებითა და უნივერსიტეტის შინაგანაწესით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით.

ქუთაისის უნივერსიტეტში მოქმედებს თანამედროვე საკრედიტო სისტემა, რომელიც ეფუძნება ამერიკული და ევროპული უნივერსიტეტების გამოცდილებას.

კრედიტების დაანგარიშების საფუძვლად აღებულია ევროპული სისტემა (ECTS):

1 კრედიტი = 25 ასტრონომიული სთ

პროგრამის მთლიანი მოცულობა 120 კრედიტი.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობაა საერთო სამაგისტრო გამოცდის ჩაბარების დამადასტურებელი სერთიფიკატის წარმოდგენა და უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ზეპირ გამოცდაში დადებითი (მინიმალური 51 ქულა) შეფასების მიღება.

ქუთაისის უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის მაგისტრატურაში მიიღებიან:

1. საქართველოს ყველა აკრედიტებული (არაკრედიტებული 2006-2007 ს/წ ჩათვლით) უმაღლესი სასწავლებლის კურსდამთავრებული ბაკალავრები, ან ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების მქონე სპეციალისტები.
2. უმაღლესი განათლების მქონე უცხოეთის მოქალაქეები.

პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა ორიენტირებულია ბიზნესის ადმინისტრირების პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებაზე სასწავლო დისციპლინების ბიზნეს-პროცესებთან ორგანულად შეჯერების გზით. პროგრამა ითვალისწინებს ფინანსების თანამედროვე თეორიების პარალელურად გამოყენებითი ფინანსური დისციპლინების შესწავლას. ამგვარად ორგანიზებული სისტემა საშუალებას აძლევს კურსდამთავრებულებს სწავლის დასრულების შემდეგ წარმატებით განაგრძონ პრაქტიკული ან სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა.

პროგრამის მიზანი:

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი მიზანია: ბიზნეს ურთიერთობათა სფეროში ღრმა და სისტემური ცოდნის მქონე კადრების მომზადება, რომლებიც ფლობენ ბიზნესის მართვის მეთოდოლოგიასა და კომპანიების ბიზნეს-სტრატეგიების შემუშავებისა და რეალიზაციისათვის საჭირო კვალიფიკაციას ბაზრების გლობალური ტრანსფორმაციისა და ინოვაციურ ეკონომიკაზე გარდამავალ პირობებში და რომელთაც შეეძლებათ მიღებული ცოდნის პრაქტიკულ და/ან აკადემიურ საქმიანობაში ეფექტიანად გამოყენება, აქტუალური პრობლემების, პრიორიტეტების გამოკვეთა და მათი გადაწყვეტა,

გამომუშავებული ექნებათ თავიანთ სფეროში მეცნიერული კვლევების ჩატარებისა და მიღებული შედეგების ცხოვრებაში რეალიზების უნარი.

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამა მიმართულია მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სპეციალისტის მომზადებაზე, რომელიც შეიარაღებული იქნება ბიზნესის მართვის თეორიული ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, სამეცნიერო კვლევისა და შემოქმედებითი მუშაობის უნარებით. აღნიშნული პროგრამა შემუშავებულია ბოლონის პროცესის შესაბამისად.

პროგრამა მიმართულია კომპეტენციების გამომუშავებაზე და განვითარებაზე გლობალიზაციის პირობებში ფინანსური სტრატეგიების მეთოდებისა და ინოვაციების შესახებ გამოყენებითი ცოდნის სისტემის შესაქმნელად.

სამაგისტრო პროგრამის ძირითადი ამოცანებია:

- ფინანსების თანამედროვე კონცეფციების საფუძველზე ინვენსტირებასა და ფინანსირებაზე გადაწყვეტილებების მიღების მექანიზმების შესახებ ცოდნის ჩამოყალიბება;
- საქართველოსა და სხვა მზარდ ბაზრებზე ფინანსური კონცეფციების აპრობირებული ცოდნის გამოყენება;
- ფინანსური გადაწყვეტილებების კომპლექსის (ფინანსირების, ინვესტირების, სტრატეგიული მართვის, კონტროლის და ა.შ.) ანალიზის უნარის გამომუშავება;
- ფინანსური სტრატეგიების შემუშავების კომპეტენციების ჩამოყალიბება;
- ეკონომიკის სხვადასხვა სექტორის კომპანიების მართვაში ინოვაციური მიდგომების უნარ-ჩვევების გამომუშავება, რაც ორიენტირებულია გლობალიზაციის პირობებში სტრატეგიული მდგრადობის მიღწევაზე.

სწავლის შედეგი

აღნიშნული ამოცანების გადაჭრით პროგრამის ძირითადი მიზნის მიღწევის პროცესში მაგისტრანტებს გამოუმუშავდებათ შემდეგი კომპეტენციები და უნარ-ჩვევები, რომლებიც აუცილებელია ფინანსური სტრატეგიების შემუშავებისას და მართვისას ინოვაციების გენერირებისა და განხორციელებისათვის, რაც განსაზღვრავს ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრის კვალიფიკაციას ფინანსებში: პროგრამის კურსდამთავრებული მზად იქნება ქართულ და საერთაშორისო კომპანიებში მუშაობისათვის. ის იოლად უნდა ჩაებას პროფესიული საქმიანობის გარემოში. ამისათვის პროგრამაში მსოფლიო თეორიული გამოცდილების პარალელურად განსაკუთრებული აქცენტი კეთდება გამოყენებითი უნარ-ჩვევების გამომუშავებაზე.

სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები შესძლებენ:

- ცალკეული ბიზნეს პრობლემის შესახებ დასაბუთებული მოსაზრებების წარმოჩენას და დისკუსიაში ჩაბმას;
- ახალი თეორიული დებულებების, კვლევის პრაქტიკული მეთოდების შემუშავებასა და სრულყოფაში მონაწილეობას;
- ბიზნეს ორგანიზაციების საქმიანობის ფუნქციონალურ სფეროებში მიმდინარე მოვლენების, სისტემატიზირებას და შესაბამისი დასკვნების გაკეთებას;
- ბიზნესის მიმდინარე შეფასებას და პროცესების მართვას;
- მაკრო დონეზე მიმდინარე პროცესების ანალიზსა და მათი ადექვატური ბიზნეს სტრატეგიის ფორმირება-რეალიზებას;
- ბიზნესის განვითარების სხვადასხვა დონის პროგრამების ფორმირებასა და რეალიზაციაში აქტიურ მონაწილეობას;
- საერთაშორისო დონეზე საქმიან ურთიერთობათა თავისებურებების განსაზღვრას, სწორ შეფასებას და პრიორიტეტების გამოკვეთას;
- კვლევითი საქმიანობის განხორციელებას;
- სასწავლო-პედაგოგიურ მოღვაწეობას;

ცოდნა და გაცნობიერება

პროგრამის წარმატებით გავლის შედეგად სტუდენტი შეიძენს ამ სფეროს ღრმა, სისტემურ და უახლეს ინფორმაციაზე დაფუძნებულ ცოდნას, კერძოდ:

- დაეუფლება ფინანსურ მენეჯმენტთან დაკავშირებულ მრავალმხრივ ცოდნას. შეისწავლის საწარმოს საფინანსო-ეკონომიკური ანგარიშების სრულფასოვან ანალიზს, საწარმოო ოპერაციების და გასაღების, აგრეთვე მარაგების მართვის ოპტიმიზაციის, საფინანსო ბიუჯეტების შედგენის, კაპიტალზე მოთხოვნილების განსაზღვრის, ინვესტიციების მოძიების და ეფექტიანობის შეფასების მეთოდებს;
- საბანკო ბიზნესთან დაკავშირებით დაეუფლება ბანკის აქტივების, პასივების და ლიკვიდურობის მართვის, აგრეთვე აქტიური (მ.შ. საკრედიტო) და პასიური (დეპოზიტური და არადეპოზიტური) ოპერაციების მართვის მეთოდებს, გაეცნობა საბანკო საქმის სახელმწიფო რეგულირების (მ.შ. საქართველოს საბანკო კანონმდებლობის მიხედვით) მნიშვნელოვან მომენტებს;
- სადაზღვევო ბიზნესთან დაკავშირებით გაეცნობა ქონებრივი, პირადი, პასუხისმგებლობის, ეკონომიკური რისკების დაზღვევის, გადაზღვევის სპეციფიკურ თავისებურებებს, სადაზღვევო ტარიფების დადგენის (აქტუარული ანგარიშების) პრინციპებს დაზღვევის სახეობების და ქვესახეობების მიხედვით, აგრეთვე სადაზღვევო და ზოგადად რისკების მართვის მეთოდოლოგიას;
- გაეცნობა საერთაშორისო ფინანსური ნაკადების, მსოფლიო საფინანსო და სავალუტო ბაზრების მექანიზმს, მის გავლენას ეკონომიკური სუბიექტების ფინანსური მუშაობის სპეციფიკაზე, მმართველობითი გადაწყვეტილებების მიღების ვარიანტებზე;

აღნიშნული სისტემური და კომპლექსური ცოდნა სტუდენტს მიანიჭებს ახალი, ორიგინალური იდეების გენერირების უნარს, დაეხმარება როგორც მთლიანი პრობლემური სიტუაციების, ისე ცალკეული პრობლემების გადაჭრის გზების გაცნობიერებაში;

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება

სტუდენტს შეეძლება მიღებული ცოდნის გამოყენება თავის პროფესიულ პრაქტიკაში, როგორც სტანდარტულ, ისე თვისობრივად ახალ სიტუაციებში - წინასწარ გაუთვალისწინებელ და მულტიდისციპლინარულ გარემოში. დაეუფლება კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ორიგინალური გზების მოძიების უნარს, კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, უახლესი მიდგომების გამოყენების და სხვადასხვა საინფორმაციო წყაროების ანალიზის საფუძველზე.

სტუდენტს მიღებული ცოდნის გამოყენება შეეძლება მენეჯერის პროფესიულ პრაქტიკაში სხვადასხვა მიმართულებებით. კერძოდ:

- სწავლების პროცესში დემონსტრირებული პრაქტიკული ამოცანების გამოყვანისას შეძენილ ცოდნას შეუსაბამებს და გამოიყენებს ფინანსური მენეჯერის პროფესიულ პრაქტიკაში,
- შეეძლება პროფესიული საქმიანობა საბანკო მენეჯერის სხვადასხვა, მ.შ. საკრედიტო, სადეპოზიტო მომსახურების და სხვა პოზიციებზე;
- შეეძლება ცოდნის გამოყენება სადაზღვევო მენეჯერის პროფესიულ პრაქტიკაში - სადაზღვევო მენეჯერის სხვადასხვა პოზიციაზე, მ.შ. აქტუარული ანგარიშების წარმოებაში;

დასკვნის უნარი

სტუდენტს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროსათვის დამახასიათებელი რთული, ხშირად წინააღმდეგობრივი ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის საფუძველზე შეეძლება დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება, მონაცემთა უწყვეტ ნაკადზე დაყრდნობით კი - ინფორმაციის

ინოვაციური სინთეზი. შეეძლება არასრულ და შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრების ჩამოყალიბება, პრობლემის სწორი იდენტიფიცირება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი რესურსების მოძიება/გამოყენება. ეს მას დაეხმარება პროფესიულ თვითგანვითარებაში;

კომუნიკაციის უნარი

სტუდენტს შეეძლება თავისი დასკვნების და არგუმენტაციების დამაჯერებელი გადმოცემა, გამართული კომუნიკაციები აკადემიურ და პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხო ენებზე. განიმტკიცებს ჯგუფური მუშაობის უნარებს, დამოუკიდებლად დაგეგმავს და განახორციელებს (საჭიროების შემთხვევაში უხელმძღვანელებს) სამუშაოს საკუთარი და ჯგუფის სხვა წევრების შესაძლებლობების გათვალისწინებით. დაეუფლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითი გამოყენების ხერხებს. ეს ყოველივე მეტად მნიშვნელოვანია მენეჯერის ყოველდღიურ პრაქტიკაში;

სწავლის უნარი

სტუდენტი შეძლებს სწავლების და კვლევების დამოუკიდებელ დაგეგმვას და განხორციელებას, თვისობრივად ახალი სიტუაციების სწორ გაანალიზებას და პროექტების დამუშავებას, განახლებადი თეორიული ცოდნის და პრაქტიკული საქმიანობის მუდმივი სინთეზით პროფესიონალური თვისებების უწყვეტ განვითარებას. პროგრამა დაეხმარება განგრძობითი სწავლის დამოუკიდებლად უზრუნველყოფაში და კვალიფიკაციის მაღალი დონის მუდმივად შენარჩუნებაში;

ღირებულებები

პროგრამა მაგისტრანტს ჩამოუყალიბებს უნარს, კრიტიკულად შეაფასოს როგორც საკუთარი, ისე კოლეგების პროფესიული ღირებულებები (კომპეტენტურობა, პატიოსნება, ობიექტურობა და ა.შ.). ის თვითონაც დააფასებს და თავის წვლილს შეიტანს პოზიტიური ფასეულობების, მ.შ. საქმიანობის ამ სფეროსათვის მეტად მნიშვნელოვანი ბიზნესის ეთიკის და სოციალური პასუხისმგებლობის ღირებულებათა დამკვიდრებაში.

დასაქმების სფერო

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულს წარმატებით შეეძლება დასაქმება საშუალო და მაღალი დონის მმართველობით რგოლებში, როგორც საჯარო მართვის, ისე კერძო სექტორებში, ბიზნესორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, სხვადასხვა ფინანსურ ინსტიტუტებში, უმაღლეს სასწავლო დაწესებულებებში და ა.შ. კერძოდ:

- ნებისმიერი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმით ფუნქციონირებადი კერძო კომპანიების მმართველობითი რგოლები თუ შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები;
- სხვადასხვა ფინანსური ინსტიტუტები და საკრედიტო დაწესებულებები: საინვესტიციო კომპანიები და ფონდები, კომერციული ბანკები, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებები, საფონდო და სავალუტო ბირჟები, სადაზღვევო კომპანიები, საპენსიო ფონდები და ა.შ.;
- საერთაშორისო ორგანიზაციები და საკონსულტოები თუ სხვადასხვა დიპლომატიური წარმომადგენლობები;
- შესაბამისი მიმართულების მქონე საქართველოს სამინისტროები და მათი ტერიტორიული რგოლები;
- სახელმწიფო რწმუნებულის-გუბერნატორის ადმინისტრაციები და საქართველოს თვითმმართველი ქალაქებისა და მუნიციპალიტეტების მმართველობითი ორგანოები და ა.შ.;
- საგანმანათლებლო დაწესებულებები და სხვ.

სწავლების მეთოდოლოგია

წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის მიხედვით დისციპლინების შესწავლა ეფუძნება თანამედროვე განვითარებულ სახელმწიფოებსა და საქართველოში დაგროვილ საუკეთესო გამოცდილებას, თეორიასა და პრაქტიკას ფინანსების, საბანკო და სადაზღვევო საქმის სფეროში. სპეციალური პროფესიული დისციპლინები ისწავლება სწავლების პირველივე წლიდან.

სასწავლო პროცესში აქტიურად იქნებიან ჩართული სამთავრობო თუ არასამთავრობო სექტორის, სხვადასხვა ბიზნესორგანიზაციების, საფინანსო-ეკონომიკური სფეროს წარმომადგენლები, სხვადასხვა უნივერსიტეტების და სასწავლო-სამეცნიერო ცენტრების წამყვანი სპეციალისტები.

სწავლების სტრუქტურა ეფუძნება ლექცია-პრაქტიკულების ჩატარებას. სალექციო მეცადინეობების შედეგები ასახვას პოულობს ცალკეული თემის თეორიული არსის გააზრებასა და მიღებული შედეგების განზოგადებაში. ლექციებზე მაგისტრანტები მონაწილეობენ დებატებში, ხოლო ცოდნის გაღრმავება, დაკონკრეტება და კონკრეტული განხილვა ხდება პრაქტიკულ მეცადინეობებზე. თეორიული მასალის მომზადებასთან ერთად სწავლება ითვალისწინებს წერილობითი დავალებების შესრულებას. ეწყობა შუალედური და საბოლოო გამოცდები. პროფესიული უნარ-ჩვევების განმტკიცების მიზნით, მაგისტრანტები გაივლიან პრაქტიკას შესაბამის ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში. მეოთხე სემესტრის მანძილზე ამუშავებენ სამაგისტრო ნაშრომს და დასაცავად წარადგენენ კომისიის წინაშე.

მოცემული პროგრამის მიხედვით მეცადინეობები ტარდება სწავლების თანამედროვე აქტიური მეთოდების - კონკრეტული სიტუაციების ანალიზის, პრაქტიკული სავარჯიშოების, საქმიანი ქაღალდების ანალიზის, საქმიანი თამაშების, ჯგუფური პროექტების, პრობლემებისა და მიზნების ხის, „ქმედებით სწავლების“ და სხვათა მიხედვით. მოცემული მეთოდიკა საშუალებას აძლევს მაგისტრანტებს აითვისონ შესასწავლი დისციპლინები და განავითარონ კომუნიკაციის უნარ-ჩვევები, შეიძინონ ჯგუფური მუშაობის გამოცდილება, გამოიმუშაონ ოპტიმალური გადაწყვეტილებების მიღების უნარი და ა.შ.

შეფასება

შეფასება არის საგნის, მოვლენის ან პროცესის შესაბამისობის განსაზღვრა წინასწარ დადგენილ კრიტერიუმებთან. შეფასების საშუალებით უნდა დადგინდეს სტუდენტის მიღწევების შესაბამისობა პროგრამით დასახულ შედეგებთან, ამ მიზნით გამოყენებულ იქნება შეფასების ისეთი კრიტერიუმები, რომელთა მეშვეობითაც შესაძლებელია იმის დადგენა, რომ სტუდენტმა განავითარა ის უნარები, რომელიც აუცილებელია ბიზნესკონტექსტში პრობლემების გადასაჭრელად, შეუძლიათ თუ არა წანამძღვრებისა და პირობების ფორმულირება, კვლევის საკითხის დასმა, ანალიზი, დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბება. შეუძლიათ თუ არა შესაბამისი ინსტრუმენტების გამოყენება, საკუთარი საქმის ორგანიზება და თავისი შედეგებისა და რეკომენდაციების გადაცემა და არგუმენტირება/დაცვა. შეფასება უნდა იყოს, როგორც შემაჯამებელი ხასიათის, ასევე მაფორმირებელი (უკუკავშირის მიმცემი).

შეფასების მიზანია ხარისხობრივად განსაზღვროს სტუდენტის სწავლის შედეგები აკადემიური პროგრამის მიზნებთან და პარამეტრებთან მიმართებით.

შეფასების სტრუქტურა, საგნის ფარგლებში, ორ ელემენტად იყოფა - შუალედური და შემაჯამებელი. შუალედური ელემენტი შეიძლება დაიყოს კომპონენტებად, რომლებსაც, აგრეთვე, თავისი წილი აქვს ამ ელემენტის ფარგლებში.

ყოველი კონკრეტული შეფასება ორივე ელემენტის ჯამურ შედეგებს ეყრდნობა.

შეფასების მინიმალურ დადებით ქულად ითვლება 51.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების ინსტრუმენტს წარმოადგენს გამოცდა. გამოცდამ უნდა აჩვენოს, თუ რამდენად კარგად აითვისა სტუდენტმა შესაბამისი კურსი.

უნივერსიტეტში გამოცდები ტარდება მხოლოდ წერიითი ფორმით.

სტუდენტის საბოლოო გამოცდაზე დაშვების წინაპირობები:

- დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური

შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

- რეფერატის (ესსეს) დაწერა/წაკითხვა, ნაშრომის მომზადება/პრეზენტაცია და სხვა. ეს ნიშნავს, იმას, რომ, თუ სტუდენტს არა აქვს ჩაბარებული რეფერატი, ან კურსის ხელმძღვანელის მიერ მიცემული სხვა დავალება, ის არ დაიშვება ფინალურ გამოცდაზე, ვიდრე არ წარმოადგენს აღნიშნულ რეფერატს, იმ შემთხვევაშიც კი თუკი სხვა აქტივობების ჯამით უგროვდება დასკვნით გამოცდაზე დაშვებისათვის საკმარისი ქულები.
- ქუ-ის შინაგანაწესისა და ხელშეკრულების პირობების დაურღვევლობა.

შეფასების სისტემა

შეფასება ხდება ქულათა სისტემით. ყოველი კომპონენტის (გარდა დასწრება-აქტივობებისა) მაქსიმალური შეფასება შეადგენს 100 ქულას.

სტუდენტის შეფასებისას გათვალისწინებული უნდა იყოს არა მხოლოდ მის მიერ უშუალოდ დამამთავრებელ გამოცდაზე მიღწეული წარმატება, არამედ მთელი კურსის დროს ნაჩვენები შედეგები.

საკრედიტო შეფასებათა სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- მაქსიმალური შეფასების 91% და მეტი - ნიშანი A (ფრიადი)
- მაქსიმალური შეფასების 81-90% - ნიშანი B (ძალიან კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 71-80% - ნიშანი C (კარგი)
- მაქსიმალური შეფასების 61-70% - ნიშანი D (დამაკმაყოფილებელი)
- მაქსიმალური შეფასების 51-60% - ნიშანი E (საკმარისი)

არსებობს ორი უარყოფითი შეფასება:

- მაქსიმალური შეფასების 41-50% - ნიშანი FX (ვერ ჩააბარა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება. სტუდენტს დამატებით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 10 დღისა, მაგრამ არაუმეტეს 1 თვის.

- მაქსიმალური შეფასების 41% და ნაკლები - ნიშანი F (ჩაიჭრა), რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

ქუში სამაგისტრო პროგრამა დასრულებულად ითვლება, თუ სტუდენტმა მოაგროვა პროგრამით გათვალისწინებული კრედიტები და წარმატებით დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი.

GPA გამოთვლის წესი

GPA	ქულა
4.0	91%-ზე მაღალი
3.7	85 - 91%
3.3	81 - 84.9%
3.0	75 - 80.9 %
2.7	71 - 74.9%
2.3	61 - 70.9%
2.0	51 - 60.9%
1.7	41 - 50.9%
1.3	30 - 39.9%
1.0	20 - 29.9%
0.0	0.0 - 19.9%

GPA ინდივიდუალური კურსისთვის:

GPA-ს მინიჭება ყოველი ინდივიდუალური სასწავლო კურსისათვის ხდება ზემოთ მოყვანილი ცხრილის საფუძველზე, მაგალითად თუ სტუდენტმა მიიღო 88 ქულა, მაშინ მისი GPA არის 3.7.

როგორ გამოითვლება კუმულატიური (დაგროვილი) GPA?

სემესტრის ან სასწავლო წლის ბოლოს სტუდენტის კუმულატიური GPA გამოითვლება ფორმულით.

კუმულატიური GPA = საერთო ქულათა ჯამი / ათვისებული კრედიტების ჯამი

საერთო ქულა = **ინდივიდუალური GPA X კურსის კრედიტი**

მაგალითად, ვთქვათ, აიღეთ ორი 3 კრედიტიანი სასწავლო კურსი და მათში შესაბამისად მიიღეთ 88 ქულა (GPA 3.7) და 78 ქულა (GPA 3.0), მაშინ კუმულატიური GPA ამ ორი კურსისთვის იქნება:

საერთო ქულათა ჯამი = (3.7 X 3კრ.) + (3.0 X 3კრ.) = 11.1 + 9.0 = 20.1

ბოლო **კუმულატიური GPA** = 20.1 / 6 = 3.33

ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის გაცემა

სამაგისტრო პროგრამების კურსდამთავრებულთა დიპლომის კატეგორიის განსაზღვრისათვის მთლიანი სასწავლო პროგრამის დასრულების შემდეგ გაიანგარიშება კუმულატიური **GPA**, რის მიხედვითაც ქუ კურსდამთავრებულებს აძლევს შემდეგი ხარისხის დიპლომებს:

- **GPA 3.7 და მეტი** – წარჩინების დიპლომი: კომპენტენციის მაღალი დონით და ცოდნის შემოქმედებითად გამოყენების უნარით.

- ყველა საგანში დადებითი შეფასება და **GPA 3.7-ზე ნაკლები**- ჩვეულებრივი დიპლომი

დიპლომის კატეგორიის შეცვლის მიზნით სტუდენტმა შეიძლება ისარგებლოს საგნის გადაბარების უფლებით, მაგრამ არაუმეტეს სამი საგნისა. ასეთ შემთხვევაში ის იხდის საგნის იმ ღირებულებას, რაც არის დადგენილი საგნის ხელმეორედ აღების პერიოდისათვის.

მატერიალურ-ტექნიკური რესურსები

უნივერსიტეტს გააჩნია საკმარისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად: აუცილებელი სასწავლო აუდიტორიები, ბიბლიოთეკა, აკადემიური პერსონალის სამუშაო სივრცე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიები. შენობა- ნაგებობები აღჭურვილია პროგრამის შესაბამისი ინვენტარით.

ადამიანური რესურსები

1. გოჩა თუთბერიძე - სრული პროფესორი,
2. იოსებ არჩვაძე - სრული პროფესორი პროფესორი,
3. დეზი მაღლაკელიძე - ასოცირებული პროფესორი,
4. ციციხო დავითულიანი - ასოცირებული პროფესორი,
5. გურამ უფლისაშვილი - ასოცირებული პროფესორი,
6. გოდერძი შანიძე - ასოცირებული პროფესორი,
7. ნაირა ვირსალაძე - ასოცირებული პროფესორი,
8. ხათუნა შალამბერიძე - ასოცირებული პროფესორი,
9. პაატა კლდიაშვილი - ასისტენტ პროფესორი,
10. იაგო ბალანჩივაძე - მოწვეული, აწსუ ასოცირებული პროფესორი,
11. ნანა ლუხუტაშვილი - მოწვეული, ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი, ტ.ა.დ.
12. ოთარ შენგელია - მასწავლებელი
13. ეკატერინე ვაწაძე - მასწავლებელი
14. ანა ტყემელაშვილი - მასწავლებელი
15. მირზა ხიდაშელი-ქუ-ს დოქტორანტი
16. თეა კორძაძე-ასოცირებული პროფესორი
17. რობერტ კამლაძე - მოწვეული, მასწავლებელი
18. თეა ვალიშვილი-ასისტენტ პროფესორი
19. ნათელა ვაშაკიძე-მოწვეული ე.ა.დ.აწსუ ასოცირებული პროფესორი
20. სერგო სვანაძე -ასოცირებული პროფესორი
21. როლანდ ბრეგვაძე- ქუ-ს დოქტორანტი